



შპს ევროპიან ფერტილითი კლინიკ (ეფკ)
საქართველო, თბილისი, 33 კრწანისის II შესახვევი

+995 322 009 000

client@efclinic.ge
www.efclinic.ge

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბრისთვის ქართულ ლარში



ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს “ევროპიან ფერტილითი კლინიკ (ეფკ)” European Fertility Clinic (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2022 წლის 20 ოქტომბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მარეგისტრირებული ორგანო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 404653175.

კომპანიის იურიდიული/ფაქტიური მისამართია: საქართველო, ქალაქი თბილისი, კრწანისის რაიონი, კრწანისის ქუჩის II შესახვევი, N 33

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის კომპანიის დირექტორი და ერთპიროვნული მფლობელი : კონსტანტინ ვლადისლავოვიჩ დანჩევი, RE0121393, 01491062993 - 100% წილის მფლობელი

კომპანიას არ გააჩნია შვილობილი საწარმოები და კომპანია თავის ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს დამოუკიდებლად, მას არ გააჩნია კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადების და წარდგენის ვალდებულება.



კომპანიის საქმიანობის მოკლე აღწერა

შპს “ევროპიან ფერტილითი კლინიკ (ეფკ)” - European Fertility Clinic არის სამედიცინო ცენტრი, რომელიც უნაყოფობის მკურნალობის შესაძლებლობას აძლევს უშვილო წყვილებს .

უშვილობა თანამედროვე სამყაროში დიდ სოციალურ, ფსიქოლოგიურ და დემოგრაფიულ გამოწვევებს ქმნის. ეს მდგომარეობა წყვილებისთვის წარმოქმნის სტრესს, ემოციურ დისკომფორტსა და ზოგჯერ სოციალურულ იზოლაციას.

მოსახლეობის დაბერების ფონზე, უშვილობამ ასევე შეიძლება შეამციროს დემოგრაფიული პოტენციალი და ბუნებრივ სოციოეკონომიკურ სისტემაზე ზეგავლენა მოახდინოს.

უშვილობა წარმოადგენს მნიშვნელოვან სამედიცინო და სოციალურ გამოწვევას, რომელიც აშინებს წყვილებს და ხელს უშლის მათ ოჯახის შექმნის პროცესში. ეს მდგომარეობა შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც მამაკაცის, ისე ქალის რეპროდუქციული სისტემის დარღვევით, ან ორივე მხარის ერთდროული პრობლემებით. უშვილობა არა მხოლოდ ინდივიდუალური საკითხია, არამედ თანამედროვე საზოგადოების დემოგრაფიულ და ფსიქოლოგიურ სტრუქტურაზეც ახდენს გავლენას.

შპს „ევროპიან ფერტილითი კლინიკა (ეფკ)“ არის წამყვანი რეპროდუქციული ცენტრი საქართველოში, რომელიც სპეციალიზირებულია უნაყოფობის მკურნალობაში და ხელოვნური განაყოფიერების (IVF) თანამედროვე მეთოდებში. კლინიკა უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებას უახლესი ტექნოლოგიების და აღჭურვილობის გამოყენებით.



კლინიკის ძირითადი საქმიანობა მოიცავს:

- ქალისა და მამაკაცის უნაყოფობის დიაგნოსტიკას და მკურნალობას, იმ ვიტრო განაყოფიერებას (IVF) და ინტრაციტოპლაზმურ სპერმის ინიექციას (ICSI);
- დონორის სპერმის, კვერცხუჯრედისა და ემბრიონის გამოყენებით ხელოვნურ განაყოფიერებას;

- ემბრიოლოგიურ ლაბორატორიულ მომსახურებას, პრენატალურ შემოწმებას და გენეტიკურ ტესტირებას;
- ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას და კონსულტაციებს წყვილებისთვის, რომლებიც უშვილობის პრობლემას განიცდიან.

შპს „ევროპიან ფერტილითი კლინიკა“ არა მხოლოდ უზრუნველყოფს წყვილებს შესაძლებლობას მიაღწიონ ნანატრ შედეგს -შვილს, არამედ ხელს უწყობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებში.

კლინიკის საქმიანობა წარმოადგენს რეალურად კეთილ საქმეს, რომელიც გულისხმობს ოჯახების შექმნის ხელშეწყობას, ფსიქოლოგიური კომფორტის უზრუნველყოფას და თანამედროვე სამედიცინო ცოდნის გავრცელებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და საადრიცხო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს). საწარმოს ფინანსური ანგარიშგების შედგენისას გამოიყენება პირვანდელი ღირებულების შეფასების მეთოდი. აქტივის აღრიცხვა ხდება მისი შეძენის დროს გადახდილი ფულადი სახსრების ან მათი ექვივალენტების ოდენობით, ან იმ რეალური ღირებულებით, რომელიც უნდა გადახდილიყო მისი შეძენის მომენტში. ვალდებულება აღირიცხება იმ აქტივის თანხის სიდიდით, რომელიც მიღებულია მოცემული ვალდებულების სანაცვლოდ. საწარმო არ ფლობს ისეთ აქტივებს, რომელიც უნდა შეფასებულიყო რეალური ღირებულებით.

ფუნქციონირებადი საწარმო

შპს „ევროპიან ფერტილითი კლინიკა (ეფკ)“

კლინიკა წარმოადგენს ფუნქციონირებად სამედიცინო საწარმოს. კლინიკა ფუნქციონირებს საქართველოში და სპეციალიზირებულია უნაყოფობის მკურნალობაში. ძირითადი საქმიანობა მოიცავს ინ ვიტრო განაყოფიერებას (IVF), ინტრაციტოპლაზმურ სპერმის ინიექციას (ICSI), დონორულ პროგრამებს, ემბრიოლოგიურ და პრენატალურ მომსახურებას. კლინიკა უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებას და მხარს უჭერს წყვილების უნაყოფობის პრობლემის მოგვარებას

არსებული საოპერაციო საქმიანობით არსებითად განსაზღვრულია სამომავლო ოპერაციები რათა უზრუნველყოს ვალდებულებების დაფარვა მისი გადახდის ვადის დადგომისას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მომავალში მისი ფუნქციონირების ასპექტიდან

გამომდინარე, რომელიც გულისხმობს მომსახურებიდან მისაღები შემოსულობების და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

საოპერაციო და წარსადგენი ვალუტა.

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი და იგი წარმოადგენს კომპანიების, მისი შვილობილი და ასოცირებული საწარმოების საოპერაციო ვალუტასა და იმ ვალუტას, რომელშიც კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებაა წარმოდგენილი.

უცხოური ვალუტები

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას სუბიექტის საოპერაციო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (უცხოური ვალუტები) წარმოებული ტრანზაქციები აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დაწესებული გაცვლითი კურსით. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული ერთეულები ადგილობრივ ვალუტაში კონვერტირდება იმ დღეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. უცხოურ ვალუტაში განსაზღვრული რეალური ღირებულებით აღიარებული არამონეტარული ერთეულები კონვერტირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ იმ დღეს დადგენილი კურსით, როდესაც რეალური ღირებულება განისაზღვრა

სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ა) ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას.
- ბ) სრული შემოსავლის ანგარიშგებას
- გ) საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებას
- დ) ფულადი ნაკადების ანგარიშგებას(პირდაპირი მეთოდით)
- ე) განმარტებით შენიშვნებს და საერთო დასკვნას .

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.

საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს სრული კალენდარული წელი.

(ა) უცხოური ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად.

კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება სრული შემოსავლის

ანგარიშგებაში.

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით, პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

კურსები საანგარიშო პერიოდის ბოლოს :

დოლარი

31.12.2022 - 2.7020

31.12.2023 - 2.6894

31.12.2024-2.8068

ევრო

31.12.2022 - 2.8844

31.12.2023 - 2.9753

31.12.2024 - 2.9306

ბ) შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, შემცირებული მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, ფასდაკლებით ან სხვა მსგავსი შემცირებებით.

კლინიკა აღიარებს შემოსავალს **მომსახურების გაწევის საფუძველზე**, როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

1. შემოსავლის თანხის საიმედო განსაზღვრა შესაძლებელია;
2. მომსახურების გაწევიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება;
3. შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა საანგარიშგებო პერიოდში;
4. შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და მომავალი ხარჯების საიმედო შეფასება.

გ) სავაჭრო ვალდებულებები და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოადგენს ჩვეულებრივ საოპერაციო საქმიანობაში გაწეულ სამედიცინო მომსახურებაზე ან სხვა სერვისებზე მომხმარებლებისგან ან სხვა ფინანსური წყაროებიდან (მაგალითად, დაზღვევა, კონტრაქტები) მიღებულ თანხებს. მოთხოვნების დაფარვა ჩვეულებრივ ხდება საანგარიშგებო პერიოდში ან 12 თვის განმავლობაში, ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის ფარგლებში, თუ ეს კლინიკის საქმიანობისთვის

დამახასიათებელია. სხვა შემთხვევაში, მოთხოვნები კლასიფიცირდება გრძელვადიან აქტივებად. მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით.

თუ მოთხოვნა უცხოურ ვალუტაშია, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ის გადაიანგარიშება ფინანსური ანგარიშგების ერთეულში, კურსის სხვაობით წარმოქმნილი შემოსავალი ან ხარჯი აისახება არასაოპერაციო შემოსავალსა ან ხარჯებში.

(დ) ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები შედგება სალაროში არსებული ნაღდი ფულისა და საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრებისგან.

(ე) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას

გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება

შემდგომი ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური

აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რამე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული

აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შედარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ზარალში

ძირითადი საშუალებების ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის

სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება. მიწის ცვეთა არ ხდება.

ძირითადი საშუალებები სასარგებლო მომსახურების ვადა

შენობები 4-10 წლამდე

მანქანა დანადგარები 5 - 12 წლამდე

ოფისის აღწურვილობა 4 – 10 წლამდე

სატრანსპორტო საშუალებები 5 - 10 წლამდე

სხვა ძირითადი საშუალებები 4 - 10 წლამდე

(ვ) არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა ფასდება სასრულად და შეზღუდულია 5-10 წლამდე.

სასრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება სასარგებლო გამოყენების ვადის პერიოდში და გაუფასურების ოდენობის დასადგენად გადაფასდება მაშინ, როდესაც რამე მიანიშნებს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურებაზე. ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდი სასარგებლო გამოყენების სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივის შემთხვევაში მინიმუმ ყოველი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს გადაისინჯება. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის შესაბამისად შეცვლით და განიხილება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში.

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას არ გააჩნია არამატერიალური აქტივები, რომელთა სასარგებლო გამოყენების ვადა შეუზღუდავია. ყველა არსებული არამატერიალური აქტივი (საბუღალტრო პროგრამა და შესაბამისი ლიცენზიები) აღირიცხება შეზღუდული გამოყენების ვადით და ექვემდებარება ამორტიზაციას.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო

ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება

ზ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

კომპანიის მარაგები წარმოდგენილია ძირითადად სამედიცინო დანიშნულების მასალებით, პრეპარატებით, ლაბორატორიული რეაგენტებითა და საოფისე/საწარმოო მოხმარების სხვა მარაგებით, რომლებიც გამოიყენება უშუალოდ კლინიკის საქმიანობაში — უშვილობის მკურნალობის პროცესში.

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, ხოლო შემდგომ აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს მარაგების შეძენის ფასს, ტრანსპორტირების, შესანახი და შესაძენი ხარჯებს, ასევე იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია მარაგების მოპოვებასთან და კლინიკაში მათი გამოყენებისათვის მომზადებასთან.

შეძენილ მარაგებზე მიღებული ფასდათმობები ამცირებს მათი შეძენის ღირებულებას. სატრანსპორტო და სხვა დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების მიღებასთან, ერთიანდება მარაგების თვითღირებულებაში.

მარაგების მოძრაობის აღრიცხვა ხორციელდება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

მარაგების მოხმარების შედეგად მათი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მოხდება მათი გამოყენება სამედიცინო მომსახურების გაწევის პროცესში. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერა აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როდესაც ასეთის ჩამოწერა ხდება.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულების შემდგომი გაზრდის შემთხვევაში, ჩამოწერის უკუგატარება ხდება იმავე პერიოდში, როგორც ხარჯის შემცირება

(თ) მომუშავეთა გასამრჯელო

საწარმო დასაქმებულ პირებზე გადასხდელი გასამრჯელოს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია ხელფასთან, ფასიან შვებულებასთან და ბიულეტენტან, აღიარებს იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დასაქმებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას. მომუშავეთა მოკლევადიან გასამრჯელოებთან დაკავშირებული გასამრჯელოები ფასდება იმ თანხის არადისკონტირებული ოდენობით, რომლის გადახდასაც საწარმო აპირებს გაწეული

მომსახურებისათვის. მოკლევადიანი გასამრჯელოების აღიარება ხდება ხარჯად იმავე საანგარიშგებო პერიოდში, როცა პერსონალი ასრულებს სამედიცინო მომსახურებას .

ანალოგიურად, ანაზღაურებადი შვებულების ფორმა დასაქმებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოებისთვის მოსალოდნელი დანახარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დაფიქსირდება სამუშაოზე არყოფნის ფაქტი.

(ი) ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმოშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური

ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და - შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

(კ) ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

ანარიცხი აღიარებულია ფინანსურ ანგარიშგებაში, თუ: კომპანიას გააჩნია მიმდინარე (სამართლებრივი ან კონსტრუქციული) ვალდებულება წარსული მოვლენის შედეგად; მოსალოდნელია, რომ ამ ვალდებულების დაფარვა მოითხოვს ეკონომიკური სარგებლის გასვლას კომპანიიდან; და შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედო შეფასება. ანარიცხი ფასდება ვალდებულების დაფარვისთვის საჭირო ხარჯების საუკეთესო შეფასებით ანგარიშგების პერიოდის ბოლოს.

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, მაგრამ ინფორმაცია მათ შესახებ იძლევა შენიშვნებში, თუ: არსებობს შესაძლო ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად, რომლის არსებობა დადასტურდება მხოლოდ ერთი

ან რამდენიმე გაურკვეველი მომავალი მოვლენის დადგომით ან არარსებობით, რომელიც არ არის სრულად კომპანიის კონტროლის ქვეშ; ან არსებობს მიმდინარე ვალდებულება, მაგრამ არ არის მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის გასვლა ან თანხის საიმედო შეფასება შეუძლებელია.

კლინიკის პირობით ვალდებულებებში შეიძლება შედიოდეს: სამედიცინო დავები, რომლებიც არ არის საბოლოოდ განსაზღვრული, სახელშეკრულებო ვალდებულებები მომწოდებლებთან, და ლიცენზირების ორგანოებთან დაკავშირებული შესაძლო სანქციები.

პირობითი აქტივები

პირობითი აქტივები არ აღიარებულია ფინანსურ ანგარიშგებაში. ინფორმაცია პირობით აქტივებზე იძლევა შენიშვნებში, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღება მოსალოდნელია, მაგრამ არა ზუსტად გარანტირებული.

(ლ) ფინანსური ინსტრუმენტები

კლინიკის ფინანსური აქტივები მოიცავს ფულად სახსრებს, დებიტორულ დავალიანებებს (პაციენტების ან კონტრაქტორებისგან მისაღებ თანხებს), ასევე წინასწარ გადახდილ თანხებს მომწოდებლებისა და მომსახურების გამწვევი კომპანიების მიმართ. ფინანსური აქტივები აღიარებულია თავდაპირველი აღიარების მომენტში მათი რეალური ღირებულებით, რომელსაც შემდგომ ემატება საანგარიშგებო პერიოდში დარიცხული საპროცენტო შემოსავალი (არსებობის შემთხვევაში) და აკლდება მიღებული თანხები და შესაძლო გაუფასურების ზარალი.

ფინანსურ ვალდებულებებში შედის მომწოდებლების, თანამშრომლებისა და კონტრაქტორების მიმართ არსებული ვალდებულებები, აგრეთვე სესხები და სხვა გადასახდელი თანხები (არსებობის შემთხვევაში). ვალდებულებები აღიარებულია თავდაპირველი აღიარების მომენტში სახელშეკრულებო ღირებულებით და შემდგომ ასახავს გადახდების ან დარიცხვების შედეგად წარმოქმნილ ცვლილებებს.

საანგარიშგებო პერიოდში კლინიკას არ გამოუყენებია რაიმე ტიპის სვოპი, ფორვარდული ან სხვა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი სავალუტო ან საპროცენტო რისკების შესამცირებლად.

(მ) ხარჯად აღიარება

კლინიკაში ხარჯები აღირიცხება მოგებისა და ზარალის ანგარიშში იმ პერიოდში, როდესაც ისინი რეალურად წარმოიქმნება და უკავშირდება მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ეს მოიცავს აქტივების შემცირებას (მაგალითად, მედიკამენტები, მარაგები, აღჭურვილობა) ან ვალდებულებების ზრდას (მაგალითად, მომწოდებლებს ან თანამშრომლებს გადასახდელი თანხები), რაც შესაძლებელია საიმედოდ შეფასდეს.

ნასესხებ/სესხებთან დაკავშირებული ხარჯები (მაგალითად, პროცენტები ბანკის სესხზე) აღირიცხება იმავე პერიოდში, როდესაც ისინი რეალურად დარიცხულია ან გადახდილია.

(ნ) გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კლინიკაში დაკავშირებულ მხარეებად ითვლებიან პირები ან ორგანიზაციები, რომლებიც აკონტროლებენ კლინიკას ან არიან მასთან საერთო კონტროლის ქვეშ. ყველა გარიგება დაკავშირებულ მხარეებთან აღირიცხება **საიმედო ფინანსური შემოსავლის და ვალდებულების ცვლილების ასახვით**, მათ შორის მეპატრონის უპროცენტო სესხი, აღირიცხება შესაბამისი ფინანსური ასახვით, არა მხოლოდ სამართლებრივი ფორმით.

საგადასახადო სისტემა

საქართველოში მოქმედებს საგადასახადო კოდექსი, რომელიც ადგენს სამართლებრივ მექანიზმებს გადასახადების დარიცხვასა და გადახდასთან. ძირითადი გადასახადები, რომლებიც ამოიღება საქართველოში არის მოგების გადასახადი, საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირებიდან, დღგ, ქონების გადასახადი, მიწის გადასახადი და სხვა გადასახადები. საგადასახადო დეკლარაციის შედგენის სისწორე მოწმდება საქართველოს სხვადასხვა სახის მაკონტროლებელი ორგანოების მიერ.

ხელმძღვანელობა თვლის, რომ კომპანიის საქმიანობა ხორციელდება კანონთან სრულ შესაბამისობაში იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს შედარებით გაურკვეველობა ამა თუ იმ გადასახადის გადახდასთან დაკავშირებით, დარიცხვები ხორციელდება ხელმძღვანელობის მიერ ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე.

ფინანსური რისკის ფაქტორები

სავალუტო რისკი

კომპანიის ოპერაციები ხორციელდება, როგორც ეროვნულ ვალუტაში, ისე უცხოურ ვალუტაში.

დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები წარმოიქმნება უცხოურ ვალუტაში. ასეთი სიტუაცია იწვევს საკურსო სხვაობის ცვლილებით გამოწვეული რისკების არსებობას. თუმცა დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებებზე წარმოიქმნება საკურსო სხვაობები, რომლებიც ჩართულია ანგარიშგებებში.

ლიკვიდურობის რისკი

კომპანიის ამოცანაა შეინარჩუნოს ბალანსი უწყვეტი დაფინანსებისა მოქნილობაში, კომპანია ახდენს დავალიანებების ვადიანობის ანალიზს და გეგმავს მის ლიკვიდურობას შესასრულებელი ვალდებულებების ვადების შესაბამისად. არასაკმარისი ლიკვიდურობის პირობებში მოიზიდავს დამატებით დაფინანსების წყაროებს.

წარმოგიდგენთ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მონაცემებს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს ევროპიან ფერტილითი კლინიკი (ეფკ)

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბრისთვის ქართულ ლარში

1. ფინანსური მდგომარეობა (ბალანსი)

მაჩვენებელი	31/12/2024	31/12/2023
აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	610,123	92,933
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	135,607	97,347
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები –	–	–
მარაგები	64,152	43,490
სხვა მოკლევადიანი აქტივები	10,440	9,447
არამატერიალური აქტივები	1,538	1,728
ძირითადი საშუალებები	816,376	910,602
სხვა გრძელვადიანი აქტივები	1,123,848	1,212,994
სულ აქტივები	2,762,084	2,368,541
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	70,757	82,356
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	505	3,445
საგადასახადო ვალდებულებები	27,239	32,009
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	2,709,090	2,582,506
სხვა ვალდებულებები	1,413,727	529,297
სულ ვალდებულებები	4,221,318	3,229,613
საკუთარი კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-1,459,234	-861,072
სულ საკუთარი კაპიტალი	-1,459,234	-861,072
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2,762,084	2,368,541

ანალიზი:

- აქტივების ზრდა გამოწვეულია ძირითადი საშუალებებისა და გრძელვადიანი აქტივების მატებით.
- მაღალი ვალდებულებები უზრუნველყოფს ოპერაციულ საქმიანობას, თუმცა საკუთარი კაპიტალი კვლავ უარყოფითია, რაც მიუთითებს დაგროვილ ზარალზე.

2. საქმიანობის შედეგები (მომგებიანობის ანგარიში)

მაჩვენებელი	31/12/2024	31/12/2023
ნეტო შემოსავალი	1,589,819	199,295
საქონლის გაყიდვიდან	5,002	470
მომსახურების გაწევიდან	1,584,817	198,825
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
საერთო მოგება	1,589,819	199,295
დასაქმებულთა ანაზღაურება	815,818	353,839
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	225,255	75,000
იჯარის ხარჯი	204,197	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	864,453	556,744
სულ საოპერაციო ხარჯები	2,109,723	985,583
საოპერაციო ზარალი	519,904	786,288
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	78,258	0
წმინდა ზარალი	598,162	786,288
საკუთარი კაპიტალი დასაწყისში	-861,072	-74,784
საკუთარი კაპიტალი ბოლოს	-1,459,234	-861,072

ანალიზი:

- ნეტო შემოსავალი 2024 წელს გაიზარდა, თუმცა საოპერაციო ხარჯების მაღალი დონე ზღუდავს მოგების მიღწევას.
- ზარალი აისახა საკუთარი კაპიტალის უარყოფით დონეზე.

3. ფულადი სახსრების მოძრაობა

მაჩვენებელი	31/12/2024	31/12/2023
საოპერაციო საქმიანობიდან წმინდა ფულადი ნაკადები	517,190	166,591
საინვესტიციო საქმიანობიდან	0	0
საფინანსო საქმიანობიდან	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	517,190	166,591
ფულადი სახსრები დასაწყისში	92,933	259,524
ფულადი სახსრები ბოლოს	610,123	92,933

ანალიზი:

- 2024 წელს ოპერაციული საქმიანობიდან გამოწვეული ფულადი ნაკადი დადებითია, რაც პოზიტიურად აისახა ფულადი სახსრების ზრდაზე.
- ინვესტიციური და საფინანსო საქმიანობის დანახარჯები/შემოსავლები ამ პერიოდში არ დაფიქსირებულა

4. საერთო დასკვნა

1. აქტივები 2024 წელს გაიზარდა ძირითადი საშუალებებისა და გრძელვადიანი აქტივების მატებით.
2. საკუთარი კაპიტალი კვლავ უარყოფითია, რაც მიუთითებს დაგროვილ ზარალზე.
3. საოპერაციო ხარჯების მაღალი მოცულობა ზღუდავს ნეტო მოგების მიღწევას, მიუხედავად შემოსავლის ზრდისა.
4. კომპანიის ფულადი მდგომარეობა გაუმჯობესებულია ოპერაციული ფულადი ნაკადის შედეგად, რაც უზრუნველყოფს ლიკვიდურობის შენარჩუნებას.

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, დამტკიცდა

მენეჯმენტის სახელით შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი: კონსტანტინე დანჩევი

მთავარი ბუღალტერი: თამარ ჭყოიძე